



# განათლების სექტორის მიმოხილვა

- ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი
- ჯგუფების გაუმჯობესების იდენტიფიკაცია



2021 წ. განათლებაზე, მეცნიერებაზე და პროფესიულ მომზადებაზე დანახარჯები დაახლ. 2.2 მლრდ. ლარია, რაც მშპ-ს 3.6%-ს შეადგენს. აქედან 2021 წ. ინკლუზიურ განათლებაზე მხოლოდ 1.2% დაიხარჯა.

საქართველოს მოსახლეობის 13.2% ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს და 2021/ 22 წლის მონაცემებით, 207 არაქართულენოვან სკოლაში 54,325 მოსწავლეა.



- მოსწავლეები ქართულენოვან სკოლაში
- მოსწავლეები აზერბაიჯანულენოვან სკოლაში
- მოსწავლეები რუსულენოვან სკოლაში
- მოსწავლეები სომხურენოვან სკოლაში



## პროფესიული სასწავლებლები

- ◆ 2021 წ. პროფესიულ სასწავლებელში ჩაირიცხა 250 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რაც 17-ჯერ აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს.
- ◆ 2020 წ. COVID-19 პანდემიის გამო, პროფესიულ სასწავლებლებში მხოლოდ 164 სსსმ სტუდენტი ჩაირიცხა (-37% წ.წ.). იგივე მაჩვენებელი 201-მდე გაიზარდა 2021 წელს.
- ◆ ამავდროულად 2021 წ. გაორმაგდა სსსმ პირებს შორის სტატუსზეჩერებული სტუდენტების რაოდენობა.

## უმაღლესი სასწავლებლები

- ◆ 2010 წლიდან 2018 წლამდე 5-ჯერ გაიზარდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების რაოდენობა.
- ◆ 2021 წ. 2,665 აბიტურიენტი დარეგისტრირდა არაქართულენოვან უნარების გამოცდაზე, რაც აბიტურიენტების 7%-ს შეადგენს +3 კ.პ.-ით მეტი ვიდრე 2010 წელს.
- ◆ 2021 წ. საქართველოში უმუშევრობის დონემ უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალაში 15.5% შეადგინა, რაც ბევრად მაღალია ვიდრე OECD (6.1%) და ევროკავშირის (5.5%) ქვეყნებში.



## ეთნიკური უმჯირისობების გამოწვევები

## სსსმ პირების გამოწვევები

ენის ბარიერი - პანდემიის გამო 2020 წ. შემცირდა ქართული ენის შესწავლის მსურველთა რაოდენობა 2,059-მდე (-42%, წ.წ.)

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალურ საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა

მასწავლებელთა არასაკმარისი რაოდენობა და დაბალი კვალიფიკაცია, მაგ. 2018-2022 წწ. 309 მასწავლებლის ვაკანსია დარჩა შეუვსებელი

სპეციალურ მასწავლებლების არასაკმარისი რაოდენობა, მაშინ როდესაც სსსმ მონაცვლების რაოდენობა საშუალო წლიურად 52%-ით იზრდება 10 წ. განმავლობაში

შესაძლო დისკრიმინაციის გამო საჯარო სექტორში დასაქმების დაბალი მაჩვენებელი

რესურს-ოთახებში აუცილებელი რესურსების ნაკლებობა

სახელმძღვანელოების თარგმანის დაბალი ხარისხი

ფსიქოლოგის არყოლა სკოლებში, რაც ამწვავებს COVID-19-ით წარმოქმნილ პრობლემებს

სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი ადრეული ქორწინების და სეზონური სამუშაოების გამო

## რეკომენდაციები



- ◆ აუცილებელია განათლების სექტორზე გამოყოფილი **ფინანსური რესურსების ზრდა**.
- ◆ **შეფასდეს მასწავლებელთა სპეციფიკური საჭიროებები** და შესაბამისად დაიგეგმოს ტრენინგები.
- ◆ მნიშვნელოვანია **ქართული ენის შემსწავლელი კურსების რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის ზრდა**.
- ◆ **სახელმძღვანელოების პრობლემის მოსაგვარებლად**, აუცილებელია, თარგმანში ჩართული იყოს როგორც ფილოლოგი, ისე საგნის სპეციალისტი.
- ◆ მიზანშეწონილია **საინფორმაციო კამპანიის წარმოება** ადრეული ქორწინების, როგორც ახალგაზრდებისთვის განათლების მიღებაში ხელისშემშლელი ფაქტორის შესახებ.
- ◆ ეთიკური უმცირესობების და სსსმ პირების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩასართავად, აუცილებელია, **სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამების უზრუნველყოფა**.
- ◆ აუცილებელია **ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ადაპტაცია სსსმ და შშმ პირების საჭიროებების მიხედვით**. საჭიროა, სკოლაში ფსიქოლოგის და მეტყველების თერაპევტის დამატება.
- ◆ მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს და ჩატარდეს ისეთი **ღონისძიებები, რომლებიც მეტად ჩართავს მშობლებს** სასწავლო პროცესში.

მოცემული მასალა მომზადდა პროექტის „კვლევისა და საჯარო ღონისძიებების მხარდაჭერა მონაცვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის საქართველოს განათლების სისტემაში, COVID-19 პანდემიის განმავლობაში“ ფარგლებში.

პროექტი ნაწილობრივ განხორციელდა ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის გრანტით, ღია საზოგადოების ფონდების ევრაზიის პროგრამასთან თანამშრომლობით.

პროექტის ფინანსური მხარდაჭერი, ასევე, არის შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA).

შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტი და Sida, შესაძლოა, არ იზიარებდნენ გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.